ლითად, სხვადასხვა ზომის ბურთი და თოკინა, დღეს ბურთი ნაწდვილად დფციტირა საყმარისია ვინმეს ბურთი დაუნახოს ხელში და მას შეითხებებით არ ასვენენ, საღ შეიძინე, დიდი რჩია თუ არა... დფციტირა, თოკინაზე ვერ ვიტყვი. პირიქით, მალაზიებში მათი სიჭარბეც კი იგრძნობა, მაგრამ რატომღაც არავინ არ ეკარება. არც მოზრდილები სთავაზობენ და არც ბავშვები იხოვენ გვიყიდო. ან ვის რად უნდა უფერულ ტანსაცმელში გამოწყვილობ, თამაგაეჩილო, უსამაშო, უმეტველო სახის თოკინა, სათამაშო ბავშვის ცხოვრებაში ხელოვნების პირველ ნიმუშად ითვლება. ასეთი „ნიმუში“ — კოსტიუმების შეგარჩენის გამოსაძლეველად არ გამოდგება. მარათალია, ყველა ეს თოკინა ადგილობრივი მრეწველობის მიერ არ არის გამოშვებული, ზოგი მათგანი სხვადასხვა რესპუბლიკიდან არის შემოტანილი, მაგრამ თუ მათს გვერდით გამოჩნდებოდა ჩვენს მიერ გამოშვებული ლამაზი თოკინა, სავალლო არაფერი გვეჩვენებოდა.

უკვლოდ გაჭრა ისეთი სათამაშოც, რომელიც ბავშვის გონებრივ განვითარებას ემსახურება და თამაშის პროცესში ილი ვსეთეტურ სიამოვნებას განაუღვინებს. ამეიამად, როდესაც ბავშვთა ინტელექტუალური დონე საკმაოდ განვითარდა, ასეთ სათამაშოთა სიმცირე განსაკუთრებულად იგრძნობა. მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა სახის დიდაქტიური სათამაშო, მაგალითად ადპირალი სურათები, კუბები, მოზაიკა,

ლოტო „სამშენებლო მასალა“, კონსტრუქტორია...

რადგან სათამაშო აღზრდის ერთ-ერთი აქტიური საშუალებაა, აუცილებელია ხორციელდებოდეს პედაგოგიური შედეგითურება და კონტროლი მის წარმოებასა და ასორტიმენტზე. ეს დადგინდა ჯერ კიდევ 1933 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკური საბჭო. ამჟამად ეს საბჭოები განათლების სამინისტროებთან მოქმედებს. მას ეკუთვნის იდეოლოგიური, მხატვრული, პედაგოგიური დამხმარებლობა და კონტროლი ყველა ასეთის ბავშვისათვის განკუთვნილ სათამაშოთა წარმოებასა და ახალი ნიმუშების შექმნაზე. საბჭო განიხილავს და წართებამში ჩასაშვებად აძლევს სათამაშოთა ახალ მოდელებს, ამოწმებს, ეთანხმება თუ არა სწავლობა ნიმუშს დამტკიცებელ ეტალონს, მოქმედებულგზის წარმოებით. თითოეულ ახალ ნიმუშს განიხილავს საბჭოში შევსებული სპეციალისტების ჯგუფი, რომელსე დაკომპლექტებულია მალაკალიფიციტური პედაგოგების, ფსიქოლოგების, მხატვრების, ტექნოლოგებისა და ექიმებისგან. საბჭოსე ეკუთვნის კონსულტაცია გაუწიოს სათამაშოთა ავტორებს. თითქოსდა ასეთი შემთხვის შედეგად სათამაშოთა წარმოების საკითხი მოწესრიგებული უნდა იყოს, დიას, მიწესრიგებულია კიდევ მოსკოვში, კიევიში, მინსკში, მაგრამ თბილისში კი არა. საბჭო ის არის, რომ ადგილობრივი სწავროებით სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს გავრდის ავლით უშეებან პროდუქციის და სარეალიზაციოდ ეს აუზნებან. ისინი სტრუქტოა წარმოების შემდეგ წარმოადგენენ ბოლო ნიმუშს დასამტკიცებლად. ისეც ხდება, რომ ვიზიტიული სათამაშო იმდენად ვანსხვადება ნიმუშისგან, რომ შეიძლება ავტორმაე კი ვერ იცნოს: ეცვლება ფერი, ხარისხი, მახინჯდება, რის გამოც მომხმარებელი უქაყოფილია.

ამჟამად განათლების სამინისტროსთან არსებულ სათამაშოების სამხატვრო-ტექნიკურ საბჭოს, სწავროველის სსრ მინისტრთა საბჭოს მხარდაჭერით, განზრახული აქვს განსაკოცელოს ლონისძებები სათამაშოთა ასორტიმენტის გაზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, დაწესდა კონკრეტები საუეთესო სათამაშოთა შესარჩევად და წართებამში ჩასაშვებად. გავაწევიტლია მოუწოს ცალკეულ სწავროთათა სათამაშოების მთელი ასორტიმენტის დათავლიერება და დამტკიცებულ ეტალონებთან შედარება, სათამაშოებით ვაჭრობის მდგომარეობის დათავლიერება-შესწავლა.

იმედ უნდა ექონიოთ, რომ როგორც გაერთიანება „სიხარული“, ისე სათამაშოთა წარმოებელი სხვა ორგანიზაციები მხარში მოუდებთან განათლების სამინისტროს ამ აღმნიშვნელოვანი საქმის მოსაკარებლად.

**ზაირა ჰინდაზაშვილი**

განათლების სამინისტროს აღმწოდლობითი მუშაობის სახეცერო მეთოდური ცენტრის მეთოდოტი.

**მიზარისა კარასლიძე**

**კომპიუტრი კავისაული**

კომპიუტრი კავისაული, არის ატანს სხივი შიხი, გუბიათი ოქროცუვილი — თაღები აქვს აღმასისი; შეიდა საკეტური ადებს გაბედილი ცამეუშისი, შეიდა დღე-ღამე უარო, კერე ოპოვი კარი მისი; კარებს შეიდა მცველი იცავს, შეიდა მეგლი ალგეიბისი, შეიდა დღე-ღამის სავალე, მითი მეღების ცენება ისინი. აქ მოცერბიც დამიდიან, ალგეიბის მგლის ნაშორინი, მხრებზე აბრეუშები მადეფს, მოქარგული არჩეობით. ცხრა ბაუბუი კარებს მიმტვრეფს, განა ჩეხი მოყარებია, კარავს მწველი სივარაულის ცეცხლი გულზე შოსდებია. ერთი ისე იბერება, თუ ის დევი დედად იოქმის, მოსდგამია ციხის კარებს, მცარა წელია ამტვრებს თოქმის, მცარაა გაუტებლია, ციხე-კოშკი უსუბისი, ვინ გატებოს, ვინ გაბედოს, ვინ აოღს კარი მისი. თუც აქ სამტროდ შემოყოფენ ვინ წავეეთო მხალით მისით, და ვინც მოყარედ მოვიდეს მხალიც, თასიც ალად მისი.

**ქარახელო „ვენ“**

შენთვის გავიკინებ და გავიპაროლებ, შენთვის ოცნებების გადმოვალ ნაპირებს, მოვალ, მძიმებულ კერხის გაგინათებ, შენთვის გამოვიზობს უცხო კათანობს, შენთვის მოვარყევაბა იოსფერ აბნაში, შენთვის მორთავები იმაშიც, ამაშიც, თორეც, — რა დროისა მითხარი აბა შენ, კარებთან თამაში. შენთვის?

ლექსებისა და ვაწეწან სტრიქონებს, შენთვის სივარულსაც გამოვიკინებ. კარავს ოცნებისს ქებით ავიშენებ აპალიის უნაწეს ვერებს დავიშენებ; ზღუს —

შეუშლილს, შეუფთოლილს ალუბლის კვირტებით ისეც შენ, მხოლოდ შენ თუ შემოგაპირდები.

**საეპოკალი**

ეპოკატებს ავანთებ მცეტისას, რომ ასე, სულ ასე ენით. ეს რა შრიალია ბეთა, ეს რა ჩურჩულია, ღმერთო?! ეს რა შრიალია ბეთა,

ზეცას შეუერთოდ ლამის. ეს რა გაზრწუნებულს გბედავ, არაბად ჩაიშობულ წამით. ეს რა გაზრწუნებულს გბედავ, ასე, თვალისჩინო, ასე... დავალი შენგებრი მშით და, შენი სიუვარულით სავსე.

**თამარე**

მე მუდამ რუმად ვეწევი თეატრს და ბოლო ცეცხლ ცვდებით, მე მუდამ სულაბო არ ვიზმარო, რის მხარობენ სხებები. წინა რიგების ფორსებით შემოღლს მუდამ შიში მაქვს იმის, რომ არ იღიბებო სილამაზეში, არ შევამჩნიო გრიმი. არ შევამჩნიო ფერისცალებით, ვინ ატრიალებს დრო-კამს, რაც უფრო ლამაზი გზაა მთავარმდის, უფრო მოაწიე მოსხანს. და თუ შორიდან გამოწერ, კეთილო მუდამ შიში მაქვს იმის, რომ სიხალღოთი გამოვეითოლად არ შევამჩნიო გრიმი. ...და ასე ჩუმად დღერთთან ვსაუბრობ, თუ ბოლო სკაზე ვწდები, მე მუდამ ცუდლობ არ ვიზმარო, რის მხარობენ სხებები.

**ლილი ნუცუბიძე**

**ბეატა მოდესლე გიგია**

მე იმ წლებს მოვინებებ შიხრის, რაც ტავილად ჩამრა გულიში შემდებ: ოდესღაც, ჩემი ტოლა ბები, ჩვენს ოჯახში მოყვანენ ერთდღეს. ომი იყო, დღურტრებს ეტრა და მოუღლეს, ზედ დააღლეს დღეც. ის გადარჩა და უცნობმა დედულ გამოსტავა ჭოჭბეთოს და ზედგამს. ნაწამები სულ ბედურას მავადა, და უტროდა სახის კეთილა კონი, დღეებშია გაუშნა უკანა, მივებარე ქრედი ნაწიბს ბურთი. მაწა მავადა ზღაბში დამოღლულ კუნძულს დრო სად იყო თამაშის და ლტენს, შევავიე მე ჩემ ქართულ რუსულს, მეწევა რუსულ-ქართულ ენით. ორბობეში ჩარწოდლი შიში ნავაზოთი გარბობდა ომის მანძარს, სცირტობოდა თვალს მქონდა შიშობლს, ერთა თხილით პურდობოდა ცხრა მამ. ძილში სიზმარს ნახებლობად დედას და ცრწმობით ენებლობად თვალბე. ვერაფრით ვერ გავუქარევე სევდა, ოცნებობდა ვებებზე და ზღაბურ, რაცო მაწა შემობრუნდა შიხსკენ, როცა მიებზე გადარჩა ომისგან, დაუბრუნეს თავის ეგრას ონდა, მიგვეტავა იმ პაპარია ბიჭმა. ახლც ვუიჭრობ ომის მიმე მ წლებზე, ვინ სადან სად ატარა ბედმა. ოდესღაც ოდესღაც ბიჭს ვეძებ, ჩემი ლუკმა რომ გაუყო დღემად.



87 ათას კალს შეუმსუბუქდა შრომის პირობები, 75 ათასმა მუშა კალმა აიძალდა საკვალიფიკაციო თანრიგი, 85 ათასზე მეტმა აითვისა მეორე პროფესია. რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთა 5.500-მა მშრომელმა კალმა 1977-1979 წლებში დაისვენა სანატორიუმების, დასვენებელი სახლებისა და პანსიონატების საგზურებით, ხოლო 6.800 ბავშვმა — პიონერთა ბანაკებში.

ეს ციფრები და ფაქტები მოიყვანეს საქართველოს პროფსაბჭოს კალთა შორის მუშაობის რესპუბლიკის კომისიის სელომაზე, რომელმაც განიხილა 1977-1979 წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სანაწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე კალთა შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების საკავშირო საზოგადოებრივი დოვალიერების მოწყობის შედეგები.

### კალთა საბჭოში

# ლირი სიყვარული

რა გააკეთა ბავშვის საერთაშორისო წესითან დაკავშირებით ფურნალ „საქართველოს ქალის“ მანდის მფლობელმა — თელავის ქალთა საბჭომ. ამ მიზნით ვეწვეთ თელავის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს, ლეანო მასლო აღმზრდელს, პირველი საშუალო სკოლის დირექტორს დარიკო ბოჭორიძეს.

ქალბატონ დარიკოს კარგად ახსოვს ქალთა საბჭოს ჩამოყალიბების შორეული დღეები. ფურცლავს აყურატულად აკინძულ მასალებს, ყველაფერი წესრიგშია, არ დაკარგულა არც ერთი თქმი, არც ერთი მოსწვევი ბარათი. მართლაც რომ, უამრავი ღონისძიება ჩაუტარებიათ.

შარშან — ჩვენი საბჭოს მუშაობა ძირითადად ბავშვებს, მათს კეთილდღეობას სკოლასა და საზოგადოებაში მათ ინტერესების დაცვას მიქმდნა.

დიან, საინტერესო მუშაობას ეწევა რაიონის ქალთა საბჭო. ქალები აქ მოდიან რჩევისათვის, გამოთქვამენ საკუთარ გულისტივიებს. ამ დროს ქალთა საბჭოს საზრუნავი უჩნდება. საკითხი გადადგმას არ ითმობს და საბჭოს წევრები ადვილზე ამოწმებენ საქმის ვითარებას.

რაიონის ქალთა საბჭოს წევრები სხვადასხვა დარგის მუშაკები არიან: პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორები. ექიმი, ეურბანისტები, მუშა ქალი, კომპლერენ, პედაგოგი, კულტურის მუშაყი. ყოველი მათგანი მშობილია, და დროსა და ენერჯიას არ იშურებენ დიდების სატიკივარის შემსუბუქებისა და მათს ბავშვებზე ზრუნვისათვის.

საბჭოს მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა ქალთა ოჯახური პირობების შესწავლას. თუ საჭირო გახდა, საკითხს აყენებენ რაიონის ხელმძღვანელობის წინაშეც. ისინი ზრუნავენ იმაზეც, რომ მშრომელი ქალი მთლიანად სარგებლობდეს კანონით მინიჭებული უფლებებით, ამიტომ გამოდმებით ადევნებენ თვალს რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ქალის შრომისა და დასვენების პირობებს, ამოწმებენ სამუხაბებს, ქალთა ჰიგიენის ოთახებს...

ბავშვის საერთაშორისო წესითან დაკავშირებით ქალთა საბჭოს წევრებს ზმირად ნახავდით სკოლებში, ბავა-ბალებში. სკოლის ბუფეტებსა და სამზარეულოებებში...

ქალთა საბჭოს მუშაობა გაცემანველებულია ზაფხულშიც. შარშან საბჭოს თითოეულმა წევრმა ქალბატონ დარიკოს ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს, რათა ქალაქში დარჩენილ ბავშვებს კარგად დაესვენათ. ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო რამდენიმე საზაფხულო მოედანი, სადაც გაიმართა საინტერესო სპორტული ასპარეზობანი, ენლტრულ-სავანმანათლებლო ღონისძიებები; ბავშვები ექსკურსიაზე იყვნენ მირზაანში და დათავალებურეს დიდი ქართველი მხატვრის ნიკო ფიონისმანის სახლ-მუზეუმში, ინახულეს ლავოდების ზღაპრული ნაყრძალი, ბოდებში ეწვივნენ იროდონ ევლოშვილის სახლ-მუზეუმს, გურჯაანში ნახეს მემორიალი — „ჯარისკაცის მამა“. თელავის რაიონ-

ის ქალთა სახელით ბავშვებმა შავი თეთლი მიაართვეს იტალიის ეროვნული გმირის ფოტო მოსულშვილის დედას. მონუტი ქალი სიყვარულით იყრავდა ბავშვებს მეტრდში.

არც პიონერთა ბანაკებში დასასვენებლად გაგზავნილი ბავშვები დარჩენილან უყურადღებოდ ქალთა საბჭომ ზოდაშნის პიონერთა ბანაკები ყმაწვილებს საჩუქრები — ბურთები, ჰალრაყი, შაში, წიგნები ჩაუტანა.

სოფელ კახის ქართულ საშუალო სკოლას ქალთა საბჭომ სპორტული ინვენტარი და წიგნები გადასცა საჩუქრად. საბჭოს თავმჯდომარემ ინგილო ბავშვებს ეს წიგნები საკუთარი ბიბლიოთეკიდან შეურჩია.

საბჭოს ინიციატივით შეიქმნა ქალთა რეიდები, რომლებიც ზრუნავენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — ყულტურისა და დასვენების პარკებში, კინოთეატრებში, თეატრში წესრიგის დაცვისათვის.

კიდევ ერთი კეთილი საქმე ითვა რაიონის ქალთა საბჭომ. რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს წინაშე აღმარა ბავშვთა საპარეკმახეროს განსნის საკითხი.

საბჭოს ყველა წევრმა კარგად იცის თავისი მოვალეობა და მალალი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ საქმეს.

ქ. მარქის სახ. საქ. საბ. საბჭოს მდიანი



# ნაშტოს წყაპო

ვინც მხარაბის რაიონის სოფელ გურიან-თას ესტუმრება, მას აუცილებლად უნდა-ნებნ სოფლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნო-ბას — „ნატოს წყაროს“.

...მოხდა დიდი უხედურება: ავტომანქა-ნის კატასტროფაში დაიღუპა მერვე კლასის ფრიალსანი მოსწავლე ნატო გიორგის ასუ-ლი ელენტი. ამ დროს უღდაცემი პირის-უფალი სიგეფებდა მხედრი და ვინ იყის, ჩას არ ჩაიდნეს, რომ ხალხს საუკუნეთა მანძილზე გამოშუაგებული არ ჰქონდნენ ბრძნული ფორმული: „ვაბაგრდით, მკვდარ-საც ხომ პატრონობა უნდა!“

პირისუფალი — რა ღრმა აზრია ამ სიტყვაში ჩაქსოვილი. პირისუფალი, ე. ი. პირის პატრონი ვალდებულია თავის მიყვა-ლებელზე იზრუნოს, მას განსაუზრუნებელი მოვალეობა აეისრია, აუცილებელია საუკუ-ნიძეების, მებრძოლთაგან სასხუი გასცეს. სწორედ ამიტომ არის უსიყვარი დროიდან გამოშუაგებული „წესი საქმედრო“ — დიდებული და დახვეწილი ჰიტუაული, სამ-წუხაროდ აშუაბა შებღაღულ-შეღაღული. მამაპაატრი „წესი საქმედრო“ პირისუფლის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას ეყარება, გამწარებლად ამაბინს შექმნილი ვიკარების აგებუბა და თანმიმდევრულად, გეგმარობი-ერად ამშუიღებდა. პირიველი დაუცუბელი განდღებუბაგან განტვირთვა შეტყებლების ებამ ზებუნდა და აკაც რამზღდა რილს თა-მაშობდნენ სავანეებზე გამოყოფილი მცხე-ვალურერი, მერე ტკივილი თანდათან გზიე-ბოდა და პირისუფალი დაგისრებელი აგე-ბა და მოკვრობას მორჩილად იხდებდა. მით უმეტეს, „გარდაცვლები“ უგზოუკვლოდ გა-ურბობა კი არ იყო, არამედ ღრმსა და ხიგრ-ცემი ავღილის მონაცვებობა, ასეთია ხალ-ხის მრავალნაყადი ფილსოფია, რომელ-საც თავის დროზე კარგად იუბუნებდა რელი-გია, იფეა რა სიკვდელ-სიცოცხლის კარი-ბებობას.

დაუბრუნდები ჩვენს სამწუხარო ამბავს: ნატოს მშობლებმა განისავალი იძივეს, თა-ვიანი დანაშაუბი გზატკეცილზე, სადც შეიღო დაღუპა, წყარო გაუყენეს, ხალხმა წყაროს ნატოს სახელი დარქვეს, ასე გაზდა უდროოდ დაღუპული გიგონა უკუდავი. დამაშვარლო მგზავრი წყაროსთან შერგებდა,

წყურვილს მოიკლავს და მადლიერი გზას განაგრძობს...

მიყვალეულის სახელზე წყაროს გაყენა და მოპირკეთება უძელებს ქართული ჩვე-ულებბა: „ჩვებურტოს, არხობის თემში მო-ლო ხანებამდე იყო შემონახული წყალ-დალოლო“ მტად საინტერესო წესი: მიყვა-ლებელის დასვლაყების შემდგ, სანამ მკვერის ხარტებს გადაიხილდნენ („საქნარს იქმენ“), მკვდარს „წუთოდ დალოუცავდნენ“. პირისუფალი სადმე წყაროს ამოირჩედა, უფრო კი გზის პირას, სადც მებრ მგზავ-რი დაღიოდა. იქ ქეებისგან „წყაროს“ აგე-ბდა, წყაროს წყალი ღარზე გაღმოსქეფ-და, ღარის ზემოთ კოშკის ზროში თანაზ („შუენწი“) იყო გამოღებული, თანაში სა-წყელ „ქიტი“ (ხის ჩამაზ) იფეა.

წყაროს კეთილმოწყობისთანავე არავს გამოიხდენენ, „სახელსადებებში“ გამოცხო-ბდნენ: გულიან ქაღებს, კერებებს და სუბა-ტებს (ხორკის ან ყველის გულიან ნამცე-გრებს). ნაშვალად ერთად ტაბლაზე ერბოს და ეველს დალაგებდნენ და წყაროსთან წაიებდნენ. იქ ხულის ზუტესი მიყვალე-ბელთათვის არავს, ყველს, ერბოს, მანცხე-ვის და წყალს დალოცავდა. თამგორილი ხალხი არავს დაღეფდა და ქადაპურებს შე-ეკცუოდა. სახლში დაბრუნების ზის „ქიტი“ „წყარუთი შეუენში“ შედგამდნენ და ასე დატოვებდნენ, იქვე ქაღების და ეკუბების ნაჭრებს მოთავსებდნენ. გამ-ვლელ-გამომგული წყაროსთან იხვენებდა, წყალს დაღეფდა. მიყვალეულისათვის შენ-დობას იტოვდა. გადანახულ ნამცხვარს, ვი-საც ერგებოდა ის მორიშებდა.

ხალხის აზრით „წუთოდ ულოცავდნი“ იხიბო, რომ თუ საქაის წყალი არ დაე-წილოცათ, საქაის მიყვალეულო „წუაღრი წილოდები“ (ნაწილის არ მქონე) იქებოდა და წყალს არავინ დააღევიებდა. საქაის დალოციის შედგად საქაის ყველს თავი-სი წყალი მქონდა და სხვას არ ასწებდა. (მასხლელ საქართველოს ეთნოგრაფიისათ-ვის, III, 1940, გვ. 320).

ამ ქრისტიანობის წინადროინდელი ე. წ. წარმართულ ჩვეულებას თუ რელიგორ სა-ბურებლს ნათვაზობრებთ ჩანსაღი ცხოვრ-ბისული სინამდვილე დაგვჩვენბა: წყაროს კეთილმოწყობა სწორედ იქ ზებუნდა, სა-

დაც ყველაზე მტად გამოიყენებდნენ. წყალთან ერთად მგზავრს საბელოც ესა-პირობოდა, სამაგიეროდ თქვენგან მხო-ლოდ გარდაცვლილის მოხსენიებას ითხო-ვდნენ. ასეთი წყაროს და სამახინძლოს წი-ნაზე თვით ანაჟაიცი ქელს მოიხრიდა და ერთგვარ ვანწმინდებდა.

ასევე, ძველად აფხაზეთში მიყვალეუ-ლის ხულის პატვიცესას, რამდენადმე, ხალ-ხისათვის სასარგებლო, რაციონალური ხა-სიათი მიუღია. მხედლეობაში გვაქვს გზა-ზე სასტუმრო ნაგებობის „ამაყას“ აგება და ქების გათხრა. ამაყა გარდაცვლილის სა-ხელს აბარებდა და შიგ თამგურებელი მადლიერი მგზავრები მას შენდობას უთე-ვდნენ. ქვა მწურფავთა დარწულებების სა-მადლო საქმეს ემსახურებდა. თუ მიყვა-ლებელი ასალი მკვერის იყო, პირის-უფელს ზის სახელზე აგებულ ამაყაში მგზა-ვრთა დასაბურებლად წარჩინარს სასმელ-საქმული მიქონდა (ნ. ჩანაშა, ტრილი და აფხვარა (აბაჟი), „მოამბე“, № 7, 1898, გვ. 46) ამ ტრადიციის კეთილშობილურ აზრს და დღებობისას კომენტარები ადარ სტი-რებდა.

ამრიგად, მიყვალეულის ჩანსადად გააზ-რებულს ხსონა საქაის მრავალ სიყუტეს სთესბდა. მისასამებელია, რომ ეს კარგი ჩვეულება გურიანში კვლავ გაცოცხლებია, მკვდრითი აღმდგარა, გაჭირვებაში ჩავარ-დნულ თანამედროვეთა ალღოს, ინტელციას წინაპართა გონიერული კრითათმინისთვის ემპირიულად მიუღწია. ბუნებრივია, ამ შე-ნაწმენავ წამწებებს წახალსებმა, მხარდა-ქერა სჭირდებდა.

ნატოს წყარო ერთადერთი რილია. დანწ-ხულის რაიონულ გავრეში პატარა კორცე-პონდციას წაწყავს: „გვიოს ხილი“. სი-ფედი ირავისდელს შუაზე უღელ ჰყოფს, ადრე ზრდასაღებო მილი იყო, რომე-ლიც მზარდა ადიდებულ წყალს მიქონდა. ამის შესახებ ადგილობრივ გავრეში დაი-წერა. საქმის მოგვარება ავტოსტარსნარს-ტო საწარმოს მძღვლმა ზუტა ჩხაიძე იყი-ბა, პირადე შრომითი მინაწილობით აკო-კაბიტატორი ზიდი, რის შედეგად რიად გე-ოლოგი, მჭიდრად დასახლებული სოფელი სანდრე სააკტომობლო გვით ერბო-ნის დავაყშირდა. მოსახლეობა ამ ხილს



ხუტას განსვენებული შვილის გენოს სახელი უწოდა. ხ. ჩხაიძის მოქმედება მისამაძია. ორავისიდელების მშრომელები მაღლობას უბღიან მას ასეთი ქველმოქმედებისათვის" (კომუნისტური შრომა", 19 აგვისტო, 1976, გვ. 4).

სოფელ აცანაში ცნობილი რევოლუციონერის ტოვო ჭანტურიაშვილის მოხუც დედას შვილის საატყევებულოდ და მოსაჯონარად საყოთარი ხასრებით სოფლის ცენტრში წუარო გაუფავანია (კომუნისტური შრომა", 9 სექტემბერი, 1976, გვ. 3).

ნატანაში (მხარაძის რაიონი) კინოოკუპრამეს საბჭოთა არმიიდან დაბრუნებული პირშიო, გურამი დაედუა. მწუხარე მამამ სწორედ იმ გაზაფხულზე „ერო-უერემი“ ვენახი ჩაყრა, ერთი ძირი ცოდლიყარო განცალკეებით, გამორჩეულად დაზგო და შვილის სახელი უწოდა. გულმოყვლუმა მშობელმა ხელიდანგამოცილილი მემკვიდრის სიუყარული და ზრუნვა ახალ ბერბზე გადაიტანა. შვილივით ნაზარდ-ნალოლიაგები ვაჯი მალე დამძღვარდა, დაშვეენდა, ლაღად მბრებგაშლილმა ვრცელი ფართობი მოიარა და დღეს საარაგო მოსავალს იძლევა. მის შესახებ, როგორც სოფლის ერთ-ერთ ღირს-შესანიშნოაზე გავრუბშიც წერენ (სღუნინის დროშა", 20 ნოემბერი, 1977, გვ. 4). მსგავსი მავალითები აღზაო საქაროვლოს სხვა კუთხებშიდანაც შეიძლება მოიტანოს კაცმა, მაგრამ ისინი ჩემოვის უცნობია, რადგან ხალხის ამ მისამად მისწარუტებას სავანებოდ არავინ ვსწავლობო, გვევლებენ კი...

ცხოვრება სარკეა და ამ სარკეს ღრმად უწნა ჩახვდება. მით უმეტეს, ამას გვაევილებს საქაროვლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრადიციების შესახებ ცნობილი დადგენილება (1975 წლის 24 ნოემბერი). ვინ იცის ჩვენს ეროვნულ წეს-ჩეულებებში რამდენი მარგალიტია თაობიდან — თაობაზე გადაცემული და დღეს დავიწყების ფერფლში გახვეული.

მოკვდავო არ შეუძლიათ სიყვდილის საშინელებს თავი დააღწიონ. მასამადმე, ხალხმა პირთათმენის ბერს მოავნო, სიმწრისაგან გამოსავალი გამონახა. ადრევე რომ ასე მოვეცუეულიყავით, ჩვენი თანამედროვე სსახლლოები ამდენად ამაზრუნენ არ იტენბოდა, არც სამაშულო ომში დღღუელუთა უყვავსაყოფად დაიღვებოდა საქმოვდ მრავარცოდოვანი უფუნქციო და უნიბოდ შესრულბული ძველები. საშავიროდ მივლებობდი კეთილმონწილობ სკერების და ბაღებს, წუარობებს, ხილებს, გუზებსა და ჩვენი სოფლები, დანა-ქაღაქები უფრო მშვენიერი გახდებოდა. თან უყოფანი ფართობი დაინერგებოდა ახალი ტომონიშევა — ამ ქვეყნიდან უნებლილად წასლუთა სახლის მარადული მოსავონარი. მაგრამ კარგი საქმე დაგვიანბული არასდროს. ბარის, შოჯარის ჭრითა შვეან გამაგრების ქვიტიკის მიავნონისი უფრომთ ასეთი ქვიტიკის უყვე სპოვინა. ლიბონ-სამარტული ვაკეთებოლები და ჩვენ მხოლოდ თავის დღღაგამაჯ უწნა გავინარჩოთ, მაგრამ ცოდევა გამხბილი ჭობს




ნატოს წუარო გურიათაშო

და ამ მიმართებით, პრაქტიკულად, ძალიან ცოტას ვაკეთებთ. ჭერჯერობით ისევ გადაუწყვეტ პრობლემად რჩება საყოთივ საფლავების მონიშვნა-შემკობა...

საქაროვლოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით უკვდა მინიშნელოვან ქალაქსა და რაიონში ჩამოყალიბა საწესხვეულებო კომბინატი, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, დასაწყისშივე ფაქი იჩინა გარკვეულმა სიძნელებმა, რაც განპირობბულია ნაკლები გამოცდილებით და, რაც მთავარია, იმ დასაბულო ვეგმებით, რაც თითოეულ კომბინატს დევიტება. ვინაგან და ჩვენთან საქარწულო სასოიო ცენტრ-მონილალების დაწესებულებათა დონეზე გა-

მართვის თოთქმის არავითარი ტრადიციო ცოტას ვაკეთებთ. ჭერჯერობით ისევ გადაუწყვეტ პრობლემად რჩება საყოთივ საფლავების მონიშვნა-შემკობა... არასდროს და, გვეგმების შესრულება ძირითადად საფლავო მეურნეობებს დევიტება და აქედან გამომდინარე, ძალაუნებურად შევეწმინთ ე. წ. „სსახლლო ინდუსტრია“. რესპუბლიკის დარგებს ვართ დიდი ოფიციალური ხელშეკრულებები და მასიურად შემოაქვთ ქარფყსი მოსაპარკეთბელი კვა. ადვალბებუ მზადდება თუქსა და ლითონის ნაირნაირი მოჭირები, საფლავის ლობოთა (სოკოლი“) გასაკეთბლად უმარავო ფონდებოტული მასალა — ცემენტი, რკინაბეტონი იხარჭება. უფრო მეტი, საფლავებზე წამოშართულია მიწელი სახლები, გაუქვეყნული ტიპის ნაგებობანი, გავყინილია ელექტროშუქი. ამ სტიპოინე-



### ბულღას წყარო სპარტაველოს სხმებდრო ზგახე

ის წყარო მბატარულად ბაგვორება ბულღა კალაში. ეალეიწირება ხალხმა, მბატარის ბარდგვალაშის შემდგომ, ბულღას წყარო- შიარძვა.

მის ავტორს სამარის თავზე მოწყობილ ხალხში ტექნოლოგიური უნახე. მეშინაობის, კერძომესაურობის ტანდენციების, ურცხვი კიბის უფრო მეტად მატერიალური ზორცმესხმა წარმოუდგენელია. თუ ძველად სკოთი ბელად მენქში ატანდენ ძვირფას, უკველდლოდ ხსმარს ნივთებს, ცოლებს, მახუტებს და სხვებს, მათ ბრმად სწამდათ, რომ მბრანდებლი საიქიშო მისთვის ჩვეულ ცხოვრებას განაგრძობდა, დღეს კი საფუფილა გაფორმების არსებულ წესს არავითარი ვამარტება არ აქვს. მათ უმეტეს, საქონეუფრო კომბინაციის მოწოდებულა, იქაბებს სიკადების მოულოდნელა და მახინდება გაუადვილოს, რაც მიიღევა დროული მბრმოდგომით, უქმშპირტი და დაუფარო დამბარებით, მებრამ ან კეთილმოხილერი მარხის განხორციელება, რაც მართალი მაართალია, გვიქირს, ჭირმა თუ არ დამალა და პრესაში გამოქაღვის დამაშფოთებელი ფაქტებიც გამოვლინდა...

თბილისის მუხათვერდის სასფლოაოზე შეიცადენ საფლავების ერთგვარ სტანდარტიზაციას, იღონდ იქვე აქა-იქ მინც განდდა ვაზო და მარმარილო, საერთოდ კი თბილი სასფლოაო უსახური, რადე ტუვი-ისფერი, მშობი, როცა ექ ვავილი უსათოდ ერთი ფეჭრი ამეკიატება ხოლმე, რაც საფლავებზე შრომა და მასალა დახმარებულ სამაოხს სესფორებელ ვერტაბლს ხომ აუშენდა-მეთქი? მებრამ მამინ რა ვეუთო მიცვალებულთა სხმენის უკადვლოვას? ასეთ უმშინებევაში ხომ დაუშვებელია ვულგარობა, სამუდამოდ წასული მახლობელი აღმაიანის სიყვარულის გაუბრალეობა, კანონიერი სიყვლის და მუხარებლის დეკონინება. მიერტებულისადმი განსაკუთრებული უყრადღება, რაც ქართველ ხალხს თვისებებზე ახსიათებდა ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციია, რითული და მრავალი დანაშრულის მქონე უფინომბია, რომლის მენცინებრე კლავებს დიდი შეშენებელი და პრაქტიკული დირტებულება ენიჭება. უბედურებებში მყოფი იქაბის დახმარება, სანა-

თესაო და სამეზობლო ვალის მოხდა, მეჭარი კოლექტივში და ეროსულოვნება, რასაც ეროსულ ჩვეულებათა ტრადიციული სიბრძნე სიკვდილის მსახვრელ ხელს უპირისპირდება, მისხამაძია და უკველდის შესხანარუნებელი, ჩვენთან არსდებს არ უნდა მივიდეს საქმე იქამდე, რომ აღამინის გასვენების უახს კუბოს ამწევი ოთხი კაცი საქმებარი გახდეს. არ გადაეკატრებთ, თუ ვიტყვით, ასეთ უკიდურესობას ისეე ხალხურდობს სკობს, იღონდ, როგორც საქართველოს ეკონომარტის ცენტრალური კომიტეტის სხენებულ დადგენილებებშია უზუსახმული, ზომიერების სწავლარი არ უნდა ვაღადახოთ. როცა მიცვალებულის ვაპატოინების წინდა წესს ანგრების დვარდნი შეტრია, აქ უკვე თვალის დახმებუა და გულგრილობა მიუტევებელია, თუცა ზუტხი რიტეტის გამოწერაც კობს, რამეთუ ჭერს რედვ მე-19 საუკუნის იაკიცდობობათუც ვიცით, რომ მამონდებლა ვერცერთმა „განჩინებამ“ საქმეს ვერ უშვდია.

უპირვეტეს უკვლიან, ამ მიმართებით ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიება აუცილებელი, დასახანია, რომ საქართველოს ეთნოგრაფიაში არსებულთ ვითარება დღეს ამის შესამწებლობას არ იძლევა, მიუხედავად სადირექტიუო ორგანიზების არაერთგზის მითითებისა. ცხოვრება კი თავისის თხოვს, მეცნიერებს ვერც შექარხნილი და ვერც მგლოვიარნი ვერ დაელოდებიან, ხალხს დროულად სურს იცოდეს კორწილსა და ტირილში — აღამაინთა ცხოვრების ამ ორი უმწინველოვანეს მოვლენაში რა ერთ დროციდული და რა შემოგვრსა, რა არის დროციდული, დამახინებელი, მიღვესდური, რისი განსწორება, უარყოფა ან ტრანსფორმაცია სასურველია: მებრამ ჭერტერობით შეხელობა თითოორდა ბრძოშრას და საგვარეულო სტატიას არ ვამორბეხია, დრო კი არ იომებს.

ჩვენი ძალბი, დღესაც მისაღებია საფლავების ძველქართული სტილი, სახალდობრს საფლავის ქვა და მატური (მეუფელად დაუენებელი საფლავის ქვა), რომლე-

ბიც მიცვალებულის უკადვლოვანის გონება მავილურად მიგნებული საშუალებანია, ძველად საქართველოში საფლავის ქვას აღებდენ ეველას — მეუფს, გუონის დღდას, მხდარამოთავებს და მწეებს, ამის მიხედვით თუ ენა „ლოდექვეშ“ აკეთებდენ სახსლოვარი წარწერებს, ამკობდენ იმ რეალებით, რაც განცვენების დვარდსა და საქმინობას, მისი ხასიათის თავსებდურებებს ასახავდა. საფლავის ქვა იაკიც თუა, არაინიცი და მორტრებულოც, ეველასთვის ბელმისწავლობი. საფლავის მოწყობის ზომიერების მაგალითს თვით ხემშორტერი იძლეოდენ (გახსენეტი ველაისის მოწანტარში დავით აღმაშენებლის საფლავის ქვა და სხვა მრავალი).

მართალია მსურველები ახლაც არიან, მებრამ საფლავის ქვა ძნელი საშოვნელია, ოსტატია ძელი შოამომავლობითი კერები კარგა ხანია უკოფდენ გაქრენ, ხოლო დღეს არცერთი სახელდონს ტრადიციულ საფლავს ქვას არ თობს. იწოვით ვამორბეხა და მარმარილის (სამწეშარბი გამოენება ისეე შეძლება განსაზღვრავს), შეფოვავებდენ თუხსა და რინანტონის, უბრეტუნწარი, უბრალი საფლავის ქვა — ხელმოუწედილოვია. საფლავის ქვის აქა-იქ შემორჩენილი, თითო-ორალა უქანსაქნელი მოხელე ან კვენიდეს იხე მიდის, მის არსებობასაც ვერ ვიგებთ. დასახანია ამ ძალზე საქირი ბელავენებამდე ამალდებულ ხალხურ ბელონობის დარტის დვარცა. ჭერტერობით მის შესხანარუნებულად არაენ ზრუნავს, პირიქით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ 1976 წლის 1 ივლისიდან ხალხავის ქვების დამაზღვება საგანგებო ცირკულარით აქრძალულიც კია გამოცემა ამისა, სამგლოვიარო რიტუალთან დაუკმირებული მიწავლი პირთებლა მოსავარებელი. ამჟამად უკრფო რაბოლად დამწეებულა საუკეთესო ხისხან დაზღვებული უკრა. სამუდამოდ იყარგება ძვირფას მასალა, ხშირად მამახსილად შექნელი, რაბომ ვპიტო უარი შვი თალბებით შექნისილი უპრეტენიო უტრეკლებზე ზოგინის რაბომ აქვს მიდრეკილება გაპრალეობული ფუფუნებისადმი, მართალია თალბეზიანს კუბოს უკვლად უხარსილად აშხადებდენ, მებრამ აქვს მისი ხარისხი ვავაუშქობსითი, ვერც თასები დავხმარქოთ და საუკუო პირები ვავაღვდროსო?

ღირს, ალბათ, უკველდოდ ამაზე დღეპრეტმა არა მარტო საუკუნეთა ხიბრმიდან მომინდარი მანვ ტრადიციებს უნდა ვემბროძილოთ, არამედ ჩვენს თალწინ წარმოშობილ კიხსაც. დასავლევებზე მისაძინად დეკორატიული კალაბრები მშობე ტრატიადა აწეება პატიოვან მოქალაქთა ჭიბებს. ნეთუ არ შეიძლება ორიოდ უკვავთობა და თავიკვლად დავკუთხოვდებოდე, მთადმერ ვაწეგებოდე თუ შეიშოშავებენ მათი გავრტემებისა და მითითების ეტიკეტს სწორად სამგლოვიარო რიტუალისთვის, ფასაც ხელმისაწვდომ დააღებენ და შოგენ არ გაქარდება. რამდენ შეღავათს მოკვეცებს უბრალი აღამაინური თუ სანახსოვრებრი-



ვი უვტი. კორწილა და ტირილიში მაინც  
ჩატომ უნდ მივიღოდი ერთნაირი ბრძევი.

**ალე მისცემთა და ვარდნიო?!** ჩატომ  
დავკარგი უვაილთა შერჩევისა და ფერთა  
სიმოლივის ტრადიციული გრძნობა?!

უფილხართ სასაფლაოზე მიცვალებულ-  
თა მოსაგონარ რელიგიურ დღეს? უმარაგი  
ხალხი, ავტომანქანებით ვაჭედილი ქუჩებით  
და ფოლორცები, დრიანცელი, მოგრაულების  
ხორხოცი, ზურნის კუვიტინი, მოციკე, და-  
დენიოლი საწილები, საქმელებისა და მი-  
წაზე უხვად დაღვრილი ღვინის ხუნი, მსუ-  
ვე ზორაგის წარჩენები... თითქოს სხვა სამ-  
ყაროში მოხვდით, იშვიათად მოკრავთ  
თავის დამწუხრებულ სახეებს და გულ-  
წრფელ კრემლებს. ეს ამდენი ხალხი რა-  
ღაც აუხუნელ სიშლეგს შეუბურია, რაც  
მიცვალებულთა ხსოვნისადმი უფრო უპა-  
ტიველყოფილობაა, ვიდრე თანაგრძნობა და  
სასოება. არ ვიქნებით მართალი, თუ ურე-  
ლვად ამას რელიგიური მოტივებით ავხსნით,  
თვით ფანატურ ექსტაზში მყოფი შორწ-  
მუნენიც არ იქცევიან ასე.

უველა წესიერი ადამიანის სურს წელიწად-  
ში ერთხელ მაინც მოინახულოს მახლო-  
ბელი ადამიანის სამარე, რაც ბუნებრივი  
და მისასაღმებელია, მაგრამ ვინაიდან ჩვენ-  
თან, ოფიციალურად, მიცვალებულთა ხსო-  
ვნისადმი აკრძრთი დღე არ არის გამოუო-  
ფილი, მოქალაქენი ძალაუბნებრად რელი-  
გიურ დღეს იუენებენ და თანაც ურეღგვა-  
რი დამახინჩებით. ურეღგვა ეს მიუღებე-  
ლია ცხოვრების საბჭოური წესისათვის და  
თვით სარწმუნოებისათვისაც. ამ გაუმართ-  
ლებელ ორგანის დაბეწილი, თანამედროვე  
რიტუალი უნდა დავუპირისპიროთ, მე-მ-  
საუყუნის 80-იანი წლების საბჭოთა მოქა-  
ლაქის კულტურისა და მოსოფლიმდევლო-  
ბის შესაფერისი, რაიმე ესთეტიკურად  
სრულქმნილი და იდურ-პოლიტიკურად  
სწორი ინვოცია. ზოგიერთი ოჯახი საუ-  
თარ მიცვალებულთა საფლაოზე მ მისის გა-  
დის და გარდაცვლილთა ხსოვნას ომიდან  
შინწოუსვლელთა მოგონებას უკავშირებს.  
აქ, რა თქმა უნდა, არის თავისებური რი-  
მანტიცა, რომლის განწოვადებუბა მისაღე-  
ბად და სასარგებლოდ მიგვაჩნია.

პარტიისა და შთავრების საპროგრამო  
დებულბებზე დაურდნობით, მეტად საშე-  
რია ცხოველი, მიწისწრაფული შემოხობის  
გაჩაბება, ადგილებზე არსებული ვითარე-  
ბის ზუსტი მეცნიერული შეფასება და ამის  
შესაბამისად, სიტყვისა და საქმის  
ერთიანობა, მატერიალური ბაზის განტე-  
ცება, მისი ურეღგვაობრივი გეგმარეობი  
გამოყენება და, რაც შთავრია, მკვლარი,  
შემეცნებითი საფუძვლების ჩამოკალიბება.  
საერთოდ, საფლავთა გამარტივება, უნი-  
რეტელეს უყოფისა, პასიონებრიდან უნდა და-  
ვიყოლო, ორგინალური, ურწალო და მშინ-  
დველი გავხვდით გამორჩეული ადამიანთა  
სახეში თუ საშლოკიარი შერეობანი. ხა-  
ლი სასარგებლოდ და საუკეთესოს უსათუ-  
ოდ მიიღებს, მართლაცად განწოვლილია  
ქემარტივად კარგი მაგალითის ძალა.

ლ. შრუშიძე



წარსული

# წარსული მანწილტსანი

ჩვენი ერის ღირსეულ წინაპართა შორის  
პატივისცემით მოსაგონარია გამოჩენილი  
ქართველი პოეტის, რომანტიკოსის ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძის რძალი ანა ილიას ასე-  
ული ბავრტიონი, ბაღისშენილი საქართვე-  
ლოს სახელგანთქმული მეფის ტრეკლე მეო-  
რისა.

ანა ბავრტიონი ჭავჭავაძისას თავისი დროის  
კვალობაზე სთავანლო ვანთაღმა ჰქონდა  
მიღებული, იყო ნაიბითი, გარეგნობითაც  
მოხდენილი, თავის წრესაც და სოფლის გლე-  
ხობასაც ძალიან უყვარდა.

ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა და მწე-  
რალმა აღ. დიშომ ანა 1858 წელს ინახულ  
და მოიხიბლა მისი სილამაზითა და კითხლ-  
შობილებით. იგი წერდა: „თავად ჭავჭავაძის  
მეუღლე (იგულისხმება: დიეთი ჭავჭავაძის)  
საქართველოში, ამ ლამაზი ქალიშვილი სახელ-  
განთქმულ ქვეყანაში, ცნობილია, როგორც  
ულამაზესი მანდილოსანი, შეხედვისთაწადე  
გაოცებთ მისი წმინდა ბერძნული სრულილი,  
უცეთ რომ ვთქვართ, მისი წმინდა ქართული  
სრულილი“.

ანა განსაკუთრებო უყვარდით გლეხის

ქალებს, ხშირად მიიღოდნენ მასთან რჩევი-  
სა თუ თხოვნისათვის, გულახდლოდ უწი-  
რებდნენ თავის ფიქრებს და გასაქირს.

ანას, როგორც მისი თანამედროვეები ივი-  
ნებენ, შინაწარ წამლები დამწოდებაც სე-  
დინია და ხშირად უწევდა გლეხობას დახმარე-  
ბის. თავისუფალ დროს უყვარდა ქარგვა და  
მისი ნახელი ურეღგვაობის მოსაწინი იყო.  
აღსანიშნავია, რომ ეს ცხრა შვილის დედა  
საწოვადღობრე საქმეებზეც მონაწილეობდა.

ამ ვანთლებული მანდილოსნის თაინი-  
ბითა და ცნობილი მეწრლის გრეგოლ ორბე-  
ლიანის ახმარებით, თელავში ვაიხსნა კე-  
თილშილი ქალთა სასწავლებელი, რომელ-  
საც შინად ეწოდის მისი სახლობის სკოლას  
ურეღგვაოდნენ. სასწავლებელი კერძო შეწე-  
რულობითა და ანას ოჯახის დახმარებით  
სულდგმულობდა. იქ თავად-ანაწართა შვი-  
ლების გარდა, სწავლობდნენ სასულიერო  
წოდების სწავლა გაიონებაც, წლების გან-  
მავლობაში ბევრკერ გადაწყვეტილა, რომ  
სკოლა დაეხურათ, მაგრამ ანას გამწრეობი-  
ბითა და მცდელობით სასწავლებელმა ორ

ათეულ წელზე მეტ ხანს იარსება და მრავალი სამავალიო მანდილოსანი აღუზარდა ქვეყანას.

ელისაბედ დავითის ასული ჩოლოყაშვილი, რომელიც 1868-69 წლებში ამ სასწავლებელში სწავლობდა, თავის მოგონებაში პატივისცემით იხსენებს ქალბატონ ანას:

„სასწავლებელში შემოდებელი იყო ხელოვნური ენა (მუტაფორიული)—გვიჩვენებდნენ, — ენის ქართული სიტყვა წამოსცემდნენ, იმ ენას მაშინვე გულზე ჩამოკიდებდნენ. სასწავლებელში ახლამოსული ვიყავი, რომ ის ენა ჩემს მკერდზე განდგა და სამი დღე უსაღილოდ მამყოფეს. შიშშიღმა რომ შემეწუნება, დედას პატარა წერბო მივწერე, წამიყვანე აქედან, თორემ შიშშილით მომკლავენ-მეთქი... დედა სასწრაფოდ მოვიდა სასწავლებელში და აღშფოთებული ეუბნებოდა ზედამხედველს, ვანა ჩემი ნებიერი ლილიო იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ შიშშილით მომიკლათო? იმ დღეზე ვილაყვას ემხვეწა წინადადებაში ეცნობებინა ანა ბატონიშვილისათვის, ქალბატონი მაშინვე ეტლით ჩვენთან მოვიდა, გაეცნო ადუღევის მწეზს, სასტიკად დატყუა ზედამხედველი და დასვის საშუალება — ხელოვნური ენა აკრძალა. მახსოვს, იმ ხანად ჩემი თანატოლები მხსენდნენ მიწოდებდნენ.

ანა ბატონიშვილი, როცა კი ჩვენთან მოვიდა, შობილად დედასავით გვიალერსებდა, გვესაუბრებოდა ქართული ენის მნიშვნელობისა და სიწმიდის შესახებ.“

ღირსეული მანდილოსანი ანა 1905 წელს გარდაიცვალა. მისი ცხედარი ქართველმა საზოგადოებამ დიდი პატივით მიიპარა შუამთის ჰავაქაძეთა საგვარეულო აკლდამს.

წინადადების აღ. ჰავაქაძის სახლ-მუზეუმის ფონდში ინახება ანას დაკრძალვასთან დაკავშირებით წარმოთქმული საურთაღებო სიტყვა, რომლის ავტორიც წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებლის აღზრდილი უნდა იყოს. აი ისიც:

„თქვენ გაუწიეთ მედგარი მფარველობა საშობლო ენის სწავლებას. თქვენი და მხოლოდ თქვენი ენერგიული სურვილი იყო მიზეზი, რომ ქართული ენის სწავლება შედარებით ისე კარგად იყო დაეწინაურებული თქვენს დროს, როგორც არც ერთი სასწავლებელში— მთელი საქართველოსი. ბევრი ზრციები და ხარჯა სამოსწავლო ოლქმა, ბევრი მიზეზი მოუდეს ქართული ენის სწავლებას სამოსწავლო ოლქის აგენტებმა, მაგრამ ყოველი მათი ცდა თქვენს ენერგიულ სურვალზე იმეფებოდა“.

**შულვა მარკოზაშვილი,**  
ილია ჰავაქაძის საგვარამოს სახლ-მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი.

\* საქართველოს სსრ, სახალხო განათლების მუზეუმი, ივ. როსტომაშვილის ფონდი № 4247.



# გვეპირსუხიან ვუკუსუხეთ

მჭირბასო რედაქციავ. საოქოში მფერინ. ევლიობის განვითარებასთან დაკავშირებით როგორც მე, ასევე ბევრ სხვა დაიხასილის აინტერესებს: საოქაბო პირობებში როგორი უნდა გამოვზარდოთ ინფუბატორიდან გამოცნილი წიწილები და ინდაურის ტუკები, რა უნდა ვვაპოთ და დღეში რა დანდნერც უნდა გამოვკვეთოთ. როგორი უნდა იყოს ნიღის ტემპერატურა; საჭიროა თუ არა წიწილების და ტუკების მიეცეს რაიმე წაშალი.

### 5. დავითაშვილი,

საკარმიდამო მეურნეობებში ფრინველის გამორცხვის საუკეთესო პერაოი მარტი და აბრილა.

წიწილებს, ახავის მიხედვით, სხვადასხვა ტემპერატურა ესაჭიროებათ. პირველი ზუთი დღის განმავლობაში საჭიროა 30-28 გრადუს ტემპერატურა, 6 დღიდან 10 დღემდე— 28-26 გრადუსი, 11-დან 20 დღემდე— 25-22; 21-დან 30 დღემდე — 22-21; 31-დან 40 დღემდე — კი 21-18 გრადუსი.

ინდაურის ტუკები ტემპერატურისაღმი

უფრო მგრძობიარენი არიან. პირველდან ზუთ დღემდე ტუკებისათვიწ უტეობლებია 32-31 გრადუსი ტემპერატურა, 6-დან 10 დღემდე — 31-30 გრადუსი, 11-დან 15 დღემდე — 30-28, 16-დან 20 დღემდე — 28-26, 21-დან 30 დღემდე — 26-23, 31-დან 40 დღემდე — 23-22 და 41-დან 60 დღემდე — 21-18 გრადუსი.

მოზარდების შემუშეულასა და მოზარდებისან ერთად ტემპერატურა თანდათან ეკლებს, ტემპერატურის რეგულირება შეიძლება ამინდის მიხედვით. სუსტი წიწილები ცალკე უნდა გამოვყოთ და მოვლა-პატრონობის განსაკუთრებული პირობები შევქმნათ. სხვადასხვა ახავის წიწილების ერთად მოთავსება არ შეიძლება. ავადმუცო წიწილები დროულად უნდა გამოავალდყოთ.

ინკუბატორიდან გამოვყვანილი წიწილებსათვის ხელოვნური კურბი—ელექტრობარდერი უნდა გამოვიყენოთ. იგი თუნუქისაგან ეთილება და ქოლგისებური ფორმა ეძლევა. შორ ადგილზე სურათისებური ელექტროლუმბი უკეთდება, რითაც საჭირო ტემპერატურა უყვლან თანახრად წაწილები.



როგორც დაბალი, ისე მაღალი ტემპერატურა საზიანოა წიწილებსთვის. მათთვის განუთვნილი შენობა ნათელი და მშრალი უნდა იქონოს. ამასთან, ზნორად უნდა გაეანიათ და გავასუფთაოთ, ბელა-საუგუბიც კვეშსაფენად ნაშა, ნახერხი, სიმიანის ფურჩი გამოდგება, რომელიც უკოდლდე უნდა გამოიყვანოს. დღისათვის უარყოფილ იყენებენ მცირე მოცულობის (100 ფრთა) წიწილების სპეციალურ გამოსარდელ გალემს. წელის ჭურჭელი ისე უნდა გაეყოფოს, რომ წიწილები შიგ არ ჩადგნენ და წყალი არ დაბინძურონ. ამისათვის თიხის ცამზე თავდალმა უნდა დაემახოთ წყლით სავსე ბოთლი და წყალიც სპირიტების მიხედვით ჩამოვა გაწმინდოს.

წიწილებს უნდა დავუდგათ ნაცარჭრეული სიღის, კირისა და ხის ნახშირის აბაზანი.

წიწილებსთვის განკუთვნილი კომბინირებული საყვების უქონლობის შემთხვევაში, გამოირჩევიან 2-4-ს საათის შემდეგ წიწილებს უნდა ევაშთოთ: ხორბლის ნარჩენი, უვითელი სიმიანი, კილაკალილი ფეტვი, ქერი, შვრია, ქაბო; მწვანე საყვებიდან — იონჯა, სამურა, კარხალი, ხტაფილო, სალათა, ისპანახი, კომბოსტო; აგრეთვე მოხარული კვრცხი, მოხდლი რძე, ხაჭო, მარონი, მინერალური საყვები — ჩამქრალი კირი, დავუქული ნივარები.

ახლადგამოვიკვლი წიწილებს, პირველ სამ დღეს, საყვებად უნდა მივცეთ მოხარული კვრცხი (100 წიწილზე 2 კვრცხი), წვრილად დაღერდლი უვითელი სიმიანი ან მოხარული კილაკალილი ფეტვი მშრალად. კარგია აგრეთვე მოხდლი რძე ან მარონი, ცოტ-ცოტა და ზნორად (დღეში 6-7 ჩერა) მწვანე საყვები მე-4-5 დღიდან ეძლევა.

ინალურის ჭურჭელს პირველ დღეებში იმავე საყვებით ეკვებენ, როგორც წიწილებს; პირველ დღეებში 7-8-ჯერ, შემდეგ კი 4-5-ჯერ, სამოვარზე გასვლის შემდეგ — სამჯერ.

შუაზე მეორე დღიდანვე 3-4 თვის ძილუვა დუკობლი მწვანე საყვები უფუთსია უვითელი სიმიანის ფეტვილი მშრალად არკულე, შემდეგ კი მარცვლოვან ეკვებათ გადახევათ.

ინალურის ჭურჭელს სიცოცხლის მეტად მგრანობიარენი არიან, ამიტომ დღის ისინი შემორობანდელ ეზოში არ უნდა ვაგუშაობოთ. ბოლო ამინდში მხოლოდ 1-1.5 კვირის შემდეგ შეიძლება გავუშვათ უვითი.

ბოლო კვირის ჭურჭელს თვეში ამოსილი მეშეებები, ისინი ან დროს ავადმყოფობენ არიან და მეტე უფრადდება ესპირიტობა.

ფრთხილვისთვის მნიშვნელოვანია ანტიბიოტიკები — ბიომიცინი, ტერამიცინი, დეომიტიკონი. ერომიციონი 2-3 თვის ასაკამდე საყვებზე ამ ნივთიერებათა დაბატება დიდ ფუნქციას იძლევა. მეტრადესე მოხარლის საყვადლიანობა, ანტიბიოტიკები განსაკუთრებით ეფექტურია ინალურის ჭურჭლისათვის.

ლილი ხურციმამ,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
კანდიდატი.



## ფერწერა კაუზებით

მთავრიან ლამეში მწვანე მინდორზე ნებივრად გაწოლილა ნადირთა მეფე-ლომი, ბენვი ოქროსფრად უზნივავს. ირგვლივ სინათლისფერი აირეკლება. ეს არც ბუნების სურათია, არც ფოტოსურათი, არც მხატვრის ფუნჯით ნამუშევარი...

ლომი შვექსოვილზე ფერადი ძაფებით ამოქარგულ მწვანე ველზე ისვენებს. უჩვეულო ბუნებრიობით, შეუქმნევლად გადადის ფერები ერთმანეთში და ქმნის საოცარ შეგრძნებას სინათლისას, რომელიც ნაქარგობის ავტორს შექმნის პროცესში საკუთარი სულიდან გადაუხერხავს თავისი ქმნილებისათვის.

ფერადი ძაფებით, ნემსის წვერი, რამდენიმე წელია „ხატავს“ ქსოვილზე თამარ აბულაძე-ჩუბინიძე.

მისი ოჯახური სალონის სიმდიდრეა უნიკალური ნამუშევრები. სახარძლის მშვენიება—მცირე ზომის

ბალიშისპირები. ყვე ფონზე სხვადასხვა ტონის ყავისფერი ძაფით ერთმანეთში გადახლართულან ფაქიზი ორნამენტები, ირგვლივ თითქოს ჩამორეგებულან და ერთმანეთს გადახვევიან მწიფე თავთავები, რომლებიც პანანინა ფერადი ფრთხილებითა და დეკორატიული მძივებით ნათდება.

მგავსია და მაინც სხვანაირია ასეთივე ნამუშევარი, რომელსაც ავტორს შუაგულში თავისუფლი ორნამენტებით წრე შეუკრავს, ირგვლივ კი თითქოს „სამაიას“ მოცეკვავე ქალთა ნატიფი მკლავებია გადახლართული.

სალონის მშვენიება მაგიდის გადასაფარებელი: შეყვითლებული ფოთლებიდან ნილთად გამოსჭვივის კენკროვანი მწიფე ნაყოფი.

მაგიდის მეორე გადასაფარების მქრქალ ვარდისფერში სხვადასხვაფერად მოჩანს მინდვრის ნაირფერი ყვავილები.

# ჩინაში

ყვავილებია თამარის ბევრ სხვა წამუშევარშიც. აი, თუნდაც კალათა იებით. სურვილი გიჩნდებათ ხელი შეახოთ და მოეფეროთ გაზაფხულის უნახვებს მაცნეს, მაგრამ თქვენთვის ფუტკარის დაუსწრია.

შუადღის თაკარა მზის შუქი იგრძნობა უხემ ქსოვილებზე, რომელზეც ფურცლები გადმოხურია ღორჯუ ზამბახს; მზეს ეტრფიან თავანელუი მოლურჯო კოკრები.

კონტრასტული განწყობილება გუფლებათ ქოთანში ჩანყობილი ქრინხანთემების ხილვისას და უფერად სინანული შეგიაყრობთ, ვინაიდან იგრძნობა, რომ მალე ისინი სიცოცხლეს გამოეთხოვებიან. ამ განწყობილებას ქმნის ყვავილთა ფურცლების დაშინფებულა ფერები.

და ბოლოს, ყვავილთა მეფე-ხავერდის ვარდი. ზოგი გასასმულელად შეღერილა, ზოგიც მორცხვი ქალწულივით თავდახრილია, ელოდება როდის დაუღვამბა გულის გახსნის დიდებული ნამბი.

ზუნერირვად გადაღის ძაფით ფექმბილი ვარდის ფურცლების შერათ ტონები ერთმანეთში. კიდევ უფრო საკვირველია ღეროს და ფოთლების ნატურალური ფერი და მოყვანილობა. ძნელად დასახანახავი უნგრირლესი არშია რომ შემოვლებია.

მწვანე ფოთოლთა სიცოცხლის ტანტყვევანზე მედიდურად დაბრძანებულა სიყვარულისათვის მღერებულა წიოდით ვარდი. იგი თავის მომღერალს — ბუღბულს ელოდება, რომ მისი შუენების ამბავი შორს ნაიღოს და ქვეყნად მოჰფიოს.

ბუღბული კი რატომღაც არა ჩანს. დეე მის ნაცვლად ნაქარგობის მნახველებმა ყველგან ნაიღონ ამბავი მისი სიკეთის და სილამაზისა.

## მთერ პორმოლიანი

ლოლოკრილ მინდერის ყვავილებს ქარი პეულასავით თავს ევლავობდა, ზოგჯერ ფრთას მოკეცავდა, რომელიმე ლამაზ ბაიას მოუალერსებდა, მერე ისევ გაშლიდა ფრთებს და ახლა მერფრთხან მოიყრიდა მუხლს.

მინდერის ბოლოს კი ზოლივით მოჩანდა მოლურჯო მალღობი და იმ მალღობზე მდგარი ჩინარია, რომელიც მზის ამოსვლისა ჩინარის პირველი ეგებებოდა.

მზე, ამოსვლისთანავე, ოქროსფერ მკლავებს მოხვევდა ჩინარს და თავისკენ მიიზიდავდა. ჩინარი ტებებოდა მზის დახანებული ალერსით, მაგრამ მის საჩრდილობებზე ამოსულ ღვის შემურდა და გაჯავრებულმა ამოსახა ჩინარს:

— შეუქებუესი დანახვა მეც მაღირსე. მინდა მისი სითბო მეც ჩამომეღვაროს. ხომ ხელდა, მიყიდან წელი ვერ წამომიშეყვია და ცის სილურჯე მიმანატრებია.

ჩინარი გულეკთილი იყო: ტოტები ზე აღაყრო, და მაალაო ტანი აქეთიქით მიმოაზიხა, რომ მზის სხივები საჩრდილობებსაც მოჰყენებდა. მაგრამ დღეა დიდგულა ვახდა... ჩინართან ლამაზაკს აღარც კი კადრულს შეხებოდა. მულო მეღამე შურით ჰქონდა საყენ და მასთან მოჩურჩულე ნიავს ჩუმად შეევედრა:

— ჩემს რბილ სამოსელს ფიანდაზად გაგიფენ, ოლონდ ამაღამ მინე უფროსი ძმა გრავალა შეგაუღლებო, რომ მეს ღონიერ მკლავებს ჩინარი მსხვერპლად მოეგოსო.

მზე ჩაუსლის წინ ჩინარს მოეხვია

და უკანასკნელი ამბობილი გამოთხოვა. ჩინარს უმბიძა მზის განმორება და ღიბანსა იღვა დასავლისაკენ ხელგამყობილი.

მეორე დღეს მზე ცის კაბადონს მოეცია. ოქროსფერი მკლავები წამოსწია, რომ ჩინარს მოეფრებოდა, მაგრამ ჩინარი რომ არ მიეგება, მზეს ელვა ეცა.

მზემ დედამიწის იქენეულად დახედა... წიღობი გადატეხილი ჩინარს მღებობი მოუჩანდა, დაღლეჯილი თმა აქეთიქით გადაჰყრიდა, გრძელი წამქამები ცრელით მონამოდა, თითქმის სძინავსო, მაგრამ არა, — განწირულს სული ხდებოდა. დაღონებულ ფოთლები უხმოდა სტიროდნენ მომაკვდავ დღვას.

მზე არია...

გავერანებულ ჩინარს ცის სილურჯეში ატაცებს უპირებადა, მაგრამ ამ ვერაგობის მიზეზს რომ ვერ მიხვდა ისევ დღვლები შემოიყრია, ცრემლად აღივლიდა და მწვანე სარეცლებზე გამოტოლი ჩინარს მკერულ დაეკობა. მზის ტრიობა ვერაფერი უშველა ჩინარის დაცემით გასრული ღვისა, რომლის სიბრძოთით ის ერთი ჩინარი ამ ქვეყნიერ სამშენებელს გაშთავდა.

მის შემდეგ ირიტრავებს თუ არა, მზე შემოზარულ ღრუბლებს ვარდისფერად ალაუჯავებს, მოკრძალებულ სხივებს მიწამულ ფერში კავალებს და ჩინარის ნაფუნარჩე კოხებად მიმოაბნებს.

## ბიორბი მელამაძე

პარტიის პირველ გვერდზე — ფორმაბილი „მაათამბა“; ბიორბი — მასპარისიზა.

რედაქტორი ნარია ბარათაშვილი	სარედ. კოლეგია: ბ. ბანძალაძე, ნ. ბაგრიანაშვილი, ნ. ბაბუანიძე, ჯ. კვანაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშარაშვილი, ჯ. ლომთაძე, ა. ანდანი, ნ. შალვა ბაშვილი, ლ. შინგაბია (მხატ. რედაქტორი), ლ. შაფიკაური, თ. წინამთელი.	საქ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
	ნ. ჯაბაბიშვილი, ი. ჯაბარბიძე (მ. გ. მელიქი)	

ტექნოლოგები ნ. ბ. უ. კ. ა.

საქ. ც. კ. ცის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ჩელაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, ვასილმეგველი მღვინის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, სერთო განყოფილების 93-98-54. ვადაცა ასაქმობად 5/7-80 წ., ხელმოწერილი დასაბუღვად 16/17-80 წ., ქალაღის ზამა 60X90/16, ფიზიკური ნაბეღ ფურცელი 3. საარტცემო-სამომცემლო თაბაზი 5,3 ტრიტი 134.100. შეყ. 1261. უე 00672. ფასი 30 კაბ.



# მზე, ყვავილები, მოლა



შოდელუმის ავტორი მხატვარი-მოდელიორი ია სსირაძეაძე

